

თემის ხელმძღვანელი: ნინო ჩხაიძე

გურული ხალხური სიმღერის ბუნება,
ცნობილი ადამიანები და გუნდები.

ნინო ჩხაიძე
ოზურგეთის რაიონი
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლა
X კლასის მოსწავლე

გურული ხალხური სიმღერების ბუნება
ცნობილი მომღერალ-შემსრულებლები და გუნდები



**გურული სიმღერა - საოცარი ფენომენი მსოფლიოს
მუსიკალურ საგანძურში**

გურიის, როგორც კუთხის ჩამოყალიბებაში ხელი შეუწყო ძვ. წ. 2-3 საუკუნეებში, შემდეგ კი VIII საუკუნეში დასავლეთ და სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში ამოსავლურ-ქართული ტომების გადასახლებამ და ადგილობრივ მოსახლეობასთან მათმა შერევამ.

მუსიკალურ ხელოვნებაშიც მოხდა ერთგვარი სინთეზი მანამდე ტერიტორიულად დაშორებული

დიალექტური წრის მუსიკალური კანონზომიერებების შეხებამ შექმნა გურული დიალექტი.

გურული მუსიკალური დიალექტი ძირითადი ნიშნებით ქართული მუსიკალური კანონზომიერებებს ეფუძნება, მაგრამ თავისებრივად ახალი მუსიკალური ენის ელემენტი არის მასში ხაზგასმული, ფიქრებული სახითა მოცემული.

გურული სიმღერების ჰარმონიული ენა უაღრესად რთული და თავისთავადია, ანლოგს საქართველოს სხვა კუთხეებში ვერ მოვისმენთ. ეს შეეხება როგორც ჰარმონიული საფეხურების თანმიმდევრობას, ასევე შედგენილ მრავალფეროვან აკორდიკას.

თუ ყურადღებით მოვუსმენთ ურთულეს გურულ სიმღერებს, ჩავწვდებით მის სპეციფიკურ ბუნებას, მივხვდებით რომ თითოეულხმ

ხმას მისთვის დამახასიათებელი მელოდიურ ინტონაციური ფორმულები აქვს. ამ თვალსაზრისით სხვაობები შეინიშნება ერთი და იმავე რეგისტრიეს ხმებს შორისაც კი.

კრიმანჭული გურულ სიმღერაში ყველაზე გამორჩეული ხმაა, როგორც მელოდიური ნახაზით, ასევე ბგერათა წარმოქმნის ტექნიკით. იგი თავისმიერი და მკერდისმიერ ბგერების თანაბაზომიერ მონაცვლეობას ემყარება, რის შედეგადაც ორ გეგისტის შორის არსებული საზღვრის გადალავის შედეგად წარმოქმნილი "დარტყმები ორიგინალურ, მისთვის ნიშანდობრივ ეფექტს სძენს ამ ხმას. მრთალია, ეს ხმა ქვემო იმერეთსა და სამეგრელოშიც იპოვება, მაგრამ შესრულების სიხშირის და მანერებით და თუნდაც პოპულარობის მიხედვით თუ შევხედავთ და გურულ სიმღერას დიდ მონაპოვრად ჩაითვლება.

გურული კაცის ზნე-ხასიათი, ტემპერამენტი, ლაღი ბუნება, მუსიკალური ნიჭიერება და თავისებური მიდგომა ერთი შეხედვით, ასევე თავისთავად ინტონაციურ ჟღარდობას ანიჭებს ამ კუთხის სიმღერებს.

ხშირად გაისმის საყვედური, რომ ნაღველი და ფილოსოფიური

სიღრმე აკლია ან თითქმის არ აქვს გურულ სიმღერებს. ინტერესოა, როცა ამ მცდარ მოსაზრებებს გამოთქვამენ, რატომ არ ხსნიან წმინდა მუსიკალურ ფაქტურის სიმდიდრის მქონე სიმღერებების იშვიათი და გამორჩეულ ბუნებას? გურული სიმღერების კილოები

უპირატესად მაჟორულ მოხრილობისაა; ზომა, იშვიათი გამონაკლისის გარდა-ოთხწილადი რიტმი-პუნქტუალობისა და სინოკოების შემცველი არის, რაც ქმნის სიმღერის მარიშისებულ ხასიათს, შესრულების მანერა-შემართული მუხტიანი, შემტევიცა.

მითიმეტეს, თუ კრიმანჭული არსებობს სიმღერაში ეს შერთება ერთი –ორად იზრდება, მსმენელიც განსაკუთრებული ზეწაული განწყობით ისმენს ამ საოცარ შერწყმასა და ასე ვთქვათ, სინთეზის პოლიფინიურად ჯღერადი ხმისა.

ცნობილ გურულ მომღერლებს მძაფრი დისონასური ხმოვანებისადმი ლტოლვა ახასიათებდათ და დრესაც ცდილობენ ამ ტრადიციას უერთგულონ. იკვეთება არატრადიციული წყობის აკორდები, თითქმის მზაფრი თანხმენებით თამაშობენ, ტკბებიან. ეს თანხმონები პოლიფონიის თავისებურებიდან გამომდინარე სიმღერის სხვადასხვა ადგილს გხვდება.

იპროვიზაცია განსაკუთრებით უხდება გურულ სიმღერას. მას ბიძგს აძლევს სიმღერის წყობა, ხმათასვლის თავისებურება, ასევე ჩვენი კუთხის შვილების მიდრეკილება მუსიკალური აზროვნების თავისუფლებისადმი, რაც ქმნის იმპროვიზაციის ხერხების მრავალფეროვნებას. ააჩნია მომღერალ-შემსრულებელს რამდენადა აქვს განვითარებული ბგერული სივრცის ათვისების, სიმღერის გამშვენებისა და ინდივიდუალური წინსვლის უნარი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ აღიარებული მომღერალ-შემსრულებლური სიმღერის მაღალ პროფესიული მეცნიერულ დონემდე უდგებოდნენ. ამას უდაოდ უწყობდა ხელს გურულების ოდინდელი გატაცება სიმღერით. ბავშვობიდანვე მღეროდნენ ოჯახებში, სადაც სასიმღერო სკოლებში ოსტატ-შეგირდთა ურთიერთობა-მუსიკალური ყოფის არაჩვეულებრივი

არემოსა ხელს უწყობს ნორჩი მომღერლების დაოსტატებას, გაწაფულობას გურულ ფოლკროლში.

გურულ სიმღერებში ძლიერია ღიღინისთავსებური ხმადაბალი

მღერის ტრადიცია. ღიღინი ყველაზე უფრო გურულ სიმღერებს შემორჩა და კიდევ უხდება წმინდა ღიღინის გარდა "გრძელი ღიღინი" წამოკრული ღიღინი "ღიღინი და "ჩვენ მშვიდობა მე რუსთაველი და სხვა. სრულდება როგორც ხმამაღლა, სხვა შემთხვევაში ისე ღიღინითაც.

ცალპირულის გარდა გურიაში ძალიან უყვართ ორი გუნდისა და სამეულის-ტრიოს და გუნდის. ასეთ შემთხვევაში გადამახილად წოდებულის მონაცვლეობა. გურული შემსრულებლების მისწრაფების საგანი-იმპროვიზაციის წარმოჩენის უნარი ენიჭება "ტრიოს.

შრომის სიმღერების თვალთა "ნადური" , სადაც გვლიბლავს ერთგვარი მუსიკალური დრამატურგია, ვიდრე მუსიკალური ფორმა.

"ნადურში ხშირია ოთხი ხმის შერწყმა, რაც მსოფლიოს მუსიკალური უნიკალური მოვლენა.

"ელესა მხოლოდ შრომის პროცესში კი არ სრულდებოდა, ის სიმძიმეების გათრევისა და გადაადგილების ეს სიმღერაც ხშირად ოთხ ხმიანია, როცა აჭარული ვარიანტები ერთხმიანია.

შსაწესო სიმღერათაგან გამორჩეულია სამკურნალო "საბოდიშო , სამგლოვიარო "ზარი, რომლებიც ითვლება ხალხურ ყუბველეს სიმღერებად. საქორწინო სიმღერებიდან "დედოფლის სიმღერა , "აბადელია , "ვორერა , "ორერა და ა.შ.

გამოირჩევა სილალით, ზეაწეული , სამხიარულო ტონითა და

შესრულების თავისუფალი მანერით, მაყრული სიმღერების საფუძველზე შეიქმნა განუმეორებელი "შვიდკაცა , "ხასნბეგურა კი მუსიკალური დიალექტის მშვენებად მიაჩნია.

რაც შეხება "თამადაებს გაუვმარჯოს , "მადლობელი, "მრავალამიერი , "ჩვენ მშვიდობა და სხვა. სუფრული სიმღერებია.

მათში ცნაურდება დაკანონებული სუფრის წესი სადღერძელოთა თანამიმდევრობა, თანამესუფრების-მომღერლების მხიარული განწყობილება და ერთგვარი შეჯიბრის ფორმები. სდღერძელოების შესაბამისი რიგის დაცვა დღესაც შემოინახა გურულმა საქორწინო შუფრამ.

ისტორიულ-საგმირო ხასიათის სიმღერები "ხასანბეგურა და "ალიფაშა ხშირად საქორწინო სუფრაზე სრულდებოდა მომღერალ-შემსრულებლების მიერ. "ხასანბეგურას საფუძვლად უდევს საქორწინო "მაყრულის ინტონაციური მასალა, "ალიფაშას კი

შრომის სიმღერა "ხელხვავისა.

“აგიდელიც” ელესასთან ერთად პოპულარულ სიმღერად მიანჭდათ. გურიაში თუ ამ და ”ესას შესრულება ყურძნის კრეფისას სრულდებოდა მარტივად და ერთი ამოსუნთქვით, დღეს უკვე საკმაოდ რთული სიმღერების სახით გვიანდერძეს წინაპრებმა.

ჩონგური ე. წ. ”ზილით გავრცელებული და საყვარელი ისტრუმენტი იყო. მე-XX საუკუნის დასაწყისში გიტარის შემოტანამ გარკვეული დროით დაკნინა ეს ისტრუმენტი, თითქოს გადაშენების საფრთხე დაემუქრა, მაგრამ რაც დრო გადის, კიდე უფრო ფასდება ეს ბრწყინვალე ისტრუმენტი.

მაგრამ ”სოინარი კი მართლაც, დიდ იშვიათობად ითვლებად ითვლება. ეს მრავალმღერიანი სალამური უმეტესად ზემო გურიაში იხმარებოდა.

მე-XX საუკუნის 60-70- იან წლებამდე შემოგვინახა ეს ინსტრუმენტი.

ძმები ერქომაიშვილები


107 წელს მიტანებული გიგო ერქომაიშვილი ხშირად ასაჩუქრებდა საჩუქრებით და ჩურჩხელებით თავის შვილიშვილს, არტემ ერქომაიშვილს, რომელსაც უწილდა გურული ხალხური სიმღერის ღრმა სიყვარული. ტრადიციულად მოსდგამდა ერქომაიშვილების დიდი ოჯახის ყველა წევრს არამხოლოდ ცოდნა ამ საოცარი ფოლკლორული მონაპოვრისა, არამედ სხვებსაც ასწავლიდნენ, ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას.

გიგო ერქომაიშვილი დაობლების შემდგომ დასახლებულია მაკვანეთში, აქვე მოკიდებია ოჯახს. იგი შესანიშნავად მღეროდა სიმღერებს და ახლო-მახლო სოფლებშიაც კრებდა გურული ხალხური სიმღერებით დაინტერესებულ ადამიანებს. მღეროდნენ გიგოს შვილებიც, განსაკუთრებით კარგად კი - არტემი, ანანია და ვლადიმერი. მალე გიგომ ნიჭიერი მომღერლები შეკრიბა და მაკვანეთში შექმნა მომღერალთა ანსამბლი.

1907 წელს ინგლისურმა ფირმა ”გრამაფონმა” თბილისში ჩაწერა 50 გურული სიმღერა ფირფიაზე გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის შესრულებით.

1927 წელს ქუთაისში ჩატარებულ I რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, ამჯერად არტემ ერქომაიშვილმა, გამოიყვანა ბათუმის გუნდი, რომელშიც ერქომაიშვილთა სამი თაობა მღეროდა: გიო, არტემი და დავითი. მღეროდნენ არტემის ძმები - ანანია და ვლადიმერი. ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე და სხვები, I ადგილი და უმაღლესი ჯილდო მიაკუთვნა ბათუმის გუნდს. პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა არტემ ერქომაიშვილს გუნდს. ბრწყინვალედ გამოსულან ისინი 1929 წელს თბილისში, მე-2 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. 1930 წელს კი რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა გამარჯვებული გუნდების კონცერტი. აქ გამოსვლის შემდეგ არტემ ერქომაიშვილის გუნდი მიიწვიეს მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში.

არტემ ერქომაიშვილი ხშირად უამბობდა შვილიშვილს ერქომაიშვილების გვარის ისტორიაზე, წარსულზე, ქართულ ადათ-წესებზე. არტემ ერქომაიშვილს 2000 საგალობელი აწვა ბეჭეებზე და უამრავი ხალხური სიმღერა. ის ცდილობდა არ დავიწყებოდა ქართველ ერს გურული სიმღერები.



გიორგი სალუქვაძე, ვლადიმერ ერქომაიშვილი და მიხეილ შავიშვილი

ვარლამ სიმონიშვილი

ვარლამ სიმონიშვილი დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში. მას სიმღერა ასწავლა ანტონ დუმბაძემ, ხალხური შემოქმედების თვალსაჩინო წარმომადგენელმა. ანტონ დუმბაძემ კარგად იცოდა დასავლეთის სიმღერები.

ვარლამ სიმონიშვილი ოთხი წელი მეცადინეობდა ანტონ დუმბაძესთან, შემდეგ ის ასწავლიდა ოზურგეთის სასულიერო სემინარიაში და გურიის სოფელში.

ახალგაზრდა ვარლამი მეგობრობდა ბევრ ცნობილ მომღერალთან. ის გამოდიოდა სამოელ ჩავლეიშვილთან, ბესარიონ ინწკირველთან, ლადო დოლიძესთან. 1908 წელს ქუტაისში ამ კოლექტივმა გრამფირფიტაზე ჩაწერა 15 სიმღერა, რომელიც დღესაც აღტაცებას იწვევს.

მოგვიანებით ვარლამმა თვითონ ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც, არაერთხელ იყო მოსკოვში.

სიმონიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა გურული სიმღერების აღდგენაში, რომელსაც ახლა "სიმონიშვილის ვარიანტს" უწოდებენ. სიმონიშვილი ფლობდა ყველა ხმას, მაგრამ მხოლოდ ბანს მღეროდა.

ვლადიმერ ბერძენიშვილი

ვლადიმერ ბერძენიშვილს ჰქონდა ხავერდოვანი ტემბრის, დიდი დიაპაზონის ხმა-ბანი, გასაოცარი ტექნიკა, იმპროვიზაციის საუცხოო უნარი. გურული სიმღერები ზედმიწევნით კარგად იცოდა.

ვლადიმერ ბერძენიშვილი დაიბადა ჩოხატაურში. სიმღერის სიყვარული დეიდამ და ბიძებმა ჩაუნერგეს. ისინი იმ დროისათვის კარგად იყვნენ დაუფლებულნი გურულ სიმღერებს და ჩონგურზეც კარგად უკრავდნენ.

ახალგაზრდა ვლადიმერმა გრამოფონიდან ისწავლა სამოელ ჩავლეიშვილის სიმღერების ყველა ხმა. სამოელ ჩავლეიშვილმა თავის ანსამბლში მიიწვია ვლადიმერი.

1924 წელს ვლადიმერ ბერძენიშვილმა თბილისში ჩამოაყალიბა ანსამბლი, ასწავლიდა გურულ სიმღერებსაც.

1945 წელს ხელმძღვანელობს ხალხურ ანსამბლებს ჩოხატაურში, ლანჩხუთში. 1951 წელს მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს.

გარდა სიმღერებისა, ის წერდა ლექსებს, გატაცებული იყო პოეზიით. სიცოცხლის ბოლო წლები თბილისში გაატარა. აყალიბებდა პატარა ჯგუფებს, რადიოს ფონდისათვის წერდა სიმღერებს.

ვლადიმერმა მონაწილეობა მიიღო მრავალი კინოფილმისა და თეატრალური სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაში. ასე, რომ მისი წვლილი განუზომელია ქართული ხელოვნების განვითარებისა და წინსვლის საქმეში.



სამოელ ჩავლეიშვილი

გურული სიმღერის ერთ-ერთი გამოჩენილი
მგალობელ-შემსრულებელი

აქსენტი მეგრელიძე

აქსენტი მეგრელიძე დაიბადა ოზირგეთის რაიონის სოფელ შრომაში, მღვდლის ოჯახში, სადაც უყვარდათ სიმღერა-გალობა. პირველი მუსიკალური განათლება მიიღო ცნობილი ლოტბარისა და მგალობლის კორნელი მახარაძის ხელმძღვანელობით.

1900 წელს ფოთში გურია-სამეგრელოს საეპარქიო ტაძრის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა, სადაც მომღერლები საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს ასრულებდნენ.

1933 წელს გადადის თბილისში, აყალიბებს მეჩონგურეთა ანსამბლს, აქ მას მიანდეს გურული სიმღერების დამუშავებაც. ასეთივე მეჩონგურეთა ანსამბლი ჩამოაყალიბა რუსთაველის სახელობის თეატრში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში.

ანსამბლი მიიწვიეს მოსკოვში, ანსამბლის სოლისტები იყვნენ: ელენე ჭუბაბრია, მარგო თედიაშვილი, ცაცა მამედაშვილი, ქეთევან აფრასიონი, ნიკოლოზ ხვიტია.

მიხეილ შავიშვილი

მიხეილ შავიშვილი იყო განუმეორებელი მომღერალი-მოკრიმანჭულე, შესანიშნავი ლოტბარი და ბრწყინვალე სიმერის ავტორი.


მიხეილი მხატვრულ თვითმოქმედებაში ჩაება 1935 წელს. მახარაძის #1 საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე უკვე ხელმძღვანელობს სკოლის გუნდს და წარმატებას აღწევს. მომდევნო წლებში სოფლის საკოლმეურნეო გუნდს უდგება სათავეში. 1937 წლიდან არის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელი არტემ ერქომაიშვილი) სოლისტ-მოკრიმანჭულე.

მიხეილ შავიშვილის შემოქმედებას უკავშირდება პირველი ხარისხის დიპლომები და ოქროს მედლები, რომლებიც ჯანიეთის, ნასაკირალის, ლაითურის, მერიის, ნაგომარის ანსამბლებმა დაიმსახურეს.

1957 წელს მიხეილ შავიშვილი გახდა თბილისში ჯ.კახიძის ხელმძღვანელობით დაარსებული "შვიდკაცას" სოლისტი. იგი გახდა ახალგაზრდობის მეექვსე მოსფლიო ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი. კრიმანჭულის უდაო შემსრულებელს აღიარებულმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ ფილიპმა პირი დააღებინა, რათა ენახა, ყელში მოთავსებული იყო თუ არა ინსტრუმენტი, რომელიც გამოსცემდა ამ საოცარ ბგერებს.

მიხეილ შავიშვილმა ოზურგეთში ჩამოაყალიბა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "შვიდკაცა". ანსამბლი პოპულარული გახდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. დიდი დამსახურებისათვის 1979 წელს ანსამბლს სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

მიხეილმა დააარსა პირველი ბიჭუნათა ანსამბლი "კრიმანჭული".



მიხეილ შავიშვილი

მ. შავიშვილი 22 სიმღერის ავტორია. მან მუსიკალურად გააფორმა კინოფილმები: "პალიასტომის ტბა", "დარიკო", "შეხვედრა წარსულთან". ოზურგეთის თეატრის სპექტაკლი "კიკვიძე". აღადგინა ხალხური სიმღერა. იყო მსოფლიო სატელევიზიო ფესტივალის "რადუგას" ლაურეატი. ის არის "სისონაი დარჩიას" ავტორი. ყოფილ საბჭოეთში, როგორც ვნახეთ, სათანადოდ აფასებდნენ ამ უნიჭიერესი ხელოვნების შრომასა და დამსახურებას.

ანსამბლი "გურია"

ანსამბლი "გურია" ჩამოყალიბდა 1945 წელს. ანსამბლს სათავეში ჩაუდგა გურული სიმღერის უბადლო ოსტატი ვლადიმერ ბერძენიშვილი. იგი იყო გურული სიმღერების შესანიშნავი მცოდნე, ლოტბარი და შემსრულებელი. ვლადიმერ ბერძენიშვილი მღეროდა იმ ადამიანთა შორის, რომელთაც არამარტო შემოინახეს და გადაარჩინეს ხალხური სიმღერა, არამედ განავითარეს და თაობებს გადასცეს თავიანთი გამოცდილება. ასეთები იყვნენ: სამოელ და ილარიონ ჩავლეიშვილები, ვარლამ სიმონიშვილი, ანტონ და დავით დუმბაძეები, ძმები ერქომაიშვილები და სხვები. მათი დამსახურება სწორედ ის არის, რომ თავდაუზოგავად ილწვოდნენ და ავრცელებდნენ ჭეშმარიტად განუმეორებელ სიმღერებს. ისინი ობიექტურად იმსახურებდნენ ხალხის დიდ სიყვარულს. "უნდა ვიცოცხლოთ დიდხანს, რადგან საქვეყნო საქმეები გვაბარია, სიმღერა დაგვიტოვებს წინაპრებმა და სანამ საიმედო ხელს არ ჩავაბარებთ, ფეხს არ მოვიცვლით ამ ქვეყნიდან", - ერთგვარი იუმორნარევი სევდით ამბობდა ცნობილი გურული სიმღერების ვირტუალური შემსრულებელი არტემ ერქომაიშვილი. ეს იყო მათი მთავარი მიზანი.

1983 წელს ანსამბლ "გურიას" რამდენიმე სიმღერა ჩაიწერა იაპონელმა მუსიკოსმა კომპოზიტორთა კავშირის სამეცნიერო სესიაზე. საკავშირო რადიომ ჩაწერა მათ მიერ შესრულებული 12 სიმღერა.

ანსამბლი "ელესა"

ვლადიმერ ერქომაიშვილმა ქ.მახარაძეში 1978 წელს ჩამოაყალიბა "ახალგაზრდა გუნდის ხელმძღვანელთა ანსამბლი" და მამაკაცთა გუნდი "ელესა".

ვ.ერქომაიშვილმა შეკრიბა გუნდების ახალგაზრდა ხელმძღვანელები, რომლებსაც ჰქონდათ მუსიკალური განათლება, მათ დაიწყეს გურული სიმღერების ჩაწერა და შესწავლა. ამ სიმღერებს ასწავლიდნენ სოფლის ახალგაზრდობას.

"ელესაში" ერქომაიშვილმა თავი მიუყარა სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ხალხს, რომლებიც ფლობდნენ გურულ სიმღერებს. ანსამბლის სოლისტები იყვნენ: ტრისტან სიხარულიძე, ამირან თოიძე, ანზორ ტულუში.

ანსამბლის სახელწოდება წარმოიქმნა ძველი ქართული შრომითი სიმღერებიდან.

გურული სიმღერების სამხმიანია, შორმის სიმღერები ოთხხმიანია, მათ შესასრულებლად საჭიროა გარკვეული შემადგენლობა. მაგ. "ელესა" არის ორმხრივი სიმღერა, რომელსაც ასრულებს ორი ჯგუფი, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება, მეორე ზუსტად იმეორებს იმავე ტექსტს, რასაც პიეველი, ხანდახან დასაშვებია პატარა განსხვავებები. სიმღერას "ჩემო ნათლი დედაო" ასრულებს ტრიო და გადამახილი. გადამახილი არის დამოუკიდებელი მუსიკალური ქვეწყობა, რომელიც როგორც მისამღერი, მიჰყვება მთელ სიმღერას. არსებობს ერთხმიანი გადამახილი ("მე რუსთველი"), ორხმიანი გადამახილი ("ხასამბეგურა") და სამხმიანი ("ვახტანგური").

ანსამბლი "ელესა" დიდ ყურადღებას აქცევდა შრომის სიმღერებს, მაგ.: "საჯავახური".

სიმღერა "ნადური" სრულდებოდა, როცა მეგობარს ეხმარებოდნენ ხვნაში. ეს სიმღერა ოთხხმიანია, ეს არის ყველაზე გრძელი და რთული სიმღერა. შეიძლება ჩაიტვალოს უნიკალურ მოვლენად მთელ მსოფლიოში.

ანსამბლი "ოცნება"

რამდენიმე სიტყვით მინდა გიამბოთ ანსამბლ ოცნებაზე, რომელიც აქტიური წევრი გახლავართ მე.



ანსამბლი - "ოცნება"

მართლაც, ჩემი ოცნებაა და ახდენილი ლამაზი ბავშვობა...

გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი "ოცნება" შეიქმნა 1990 წელს. მასში გაერთიანებულია 5 წლიდან 17 წლამდე ასაკის გოგონები. იგი უკვე მეოთხე თაობას ზრდის. ანსამბლი ასრულებს როგორც ქართულ-ხალხურ, ასევე სხვადასხვა ქვეყნის სიმღერებს.

შექმნის დღიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რესპუბლიკურ და რაიონულ ღონისძიებებში, სადაც დიდ მოწონებას იმსახურებს.

1995-1996წ.წ. ანსამბლი "ოცნება" იმყოფებოდა ბულგარეთში ქ.ვარნაში V-VI საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე. 1996 წელს მიემგზავრება

უკრაინაში, ქ.კიევში, ფესტივალზე. 1997 წელს მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით და ლაურეატის წოდება მიენიჭა. 1998 წელს ანსამბლს ქ.თბილისში III რესპუბლიკურ ფესტივალზე გამართულ კონკურსში "გაზაფხულის ზარები", რომელიც ჩაატარა საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის მთავარმა რედაქციამ: "აბლაბუდამ", პირველი ადგილი მიენიჭა. ამავე წელს ანსამბლი მიწვეული იყო თურქეთში ქ.ანკარაში ფესტივალზე, რესპუბლიკის შემქმნის 75 წლისთავთან დაკავშირებით. 1999წ. ანსამბლი კვლავ მიემგზავრება ბულგარეთში ქ.პლოვდივში, VI საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე. 2000 წელს ანსამბლი "ოცნება" მიემგზავრება საბერძნეთში ქ.ათენში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე და კვლავ ანსამბლი იღებს მონაწილეობას თბილისში გამართულ ბავშვთა ქართული სიმღერის V ფესტივალზე "გაზაფხულის ზარები", სადაც I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა და I ადგილი დაიკავა.

2005-2006წ.წ. ანსამბლი "ოცნება" მონაწილეობას ღებულობდა ქ.თბილისში "ბრავო-2005"-ის და "ოქროს მართვეს" ფესტივალზე, სადაც გრანპრი და ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

წლებია, რაც ანზორ ერქომაიშვილი ქართული სიმღერის და განსაკუთრებით გურული სიმღერის პოპულარიზაციას ეწევა მთელ საქართველოში და მსოფლიოს გარეთაც. რად ღირდა თუმცა მის მიერ შექმნილი ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "მართვე".

პატარაობიდანვე ქართული სიმღერის სიყვარულით ვიზრდები და მწამს მისი მომავლის!..